სტატისტიკური ინფორმაცია საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სამოსამართლო ეთიკისა და დისციპლინური სამართალწარმოების დეპარტამენტის მიერ 2006 წელს გაწეული მუშაობის შესახებ

1. საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოში განსახილველად შემოვიდა 1851 განცხადება (საჩივარი);
2. 1050 განცხადების (საჩივრის) საფუძველზე მოსამართლეთა მიმართ შეწყდა დისციპლინური დევნა;
3. 37 განცხადების (საჩივრის) საფუძველზე მოსამართლეებს მიემართათ კერძო სარეკომენდაციო ბარათით;
4. 107 განცხადების (საჩივრის) საფუძველზე საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივნის მიერ მიღებულ იქნა გადაწყვეტილება მოსამართლეთათვის ახსნა-განმარტების ჩამორთმევის შესახებ. მათგან:

ა) 20 გადაწყვეტილების საფუძველზე მოსამართლეთა მიმართ შეწყდა დისციპლინური დევნა;
ბ) 35 გადაწყვეტილების საფუძველზე მოსამართლეებს მიემართათ კერძო სარეკომენდაციო ბარათით;
გ) 49 გადაწყვეტილების საფუძველზე 57 მოსამართლე მიეცა დისციპლინურ პასუხისგებაში;
დ) 3 გადაწყვეტილების საფუძველზე დისციპლინური სამართალწარმოება შეჩერდა.

5. სხვა საჩივრებთან გაერთიანდა, ქვემდებარეობით გადაიგზავნა ან რეაგირების გარეშე დარჩა განმეორებით შემოსული 607 განცხადება (საჩივარი).
6. 2006 წლის ბოლოს შემოსული 50 განცხადება (საჩივარი) განსახილველად გადავიდა 2007 წელში.

სტატისტიკური ინფორმაცია საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სადისციპლინო კოლეგიის მიერ 2006 წელს გაწეული მუშაობის შესახებ

1. საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სადისციპლინო კოლეგიამ განსახილველად მიიღო 60 დისციპლინური საქმე. განხილულ იქნა 56 დისციპლინური საქმე.

2. სადისციპლინო კოლეგიამ მიიღო შემდეგი გადაწყვეტილებები:
ა) გამართლდა 10 მოსამართლე;
ბ) კერძო სარეკომენდაციო ბარათით მიემართა 4 მოსამართლეს;
გ) შენიშვნა გამოეცხადა 9 მოსამართლეს;
დ) საყვედური გამოეცხადა 13 მოსამართლეს;

ე) მკაცრი საყვედური გამოეცხადა 3 მოსამართლეს;
ვ) თანამდებობიდან გათავისუფლდა 6 მოსამართლე;
ზ) მოსამართლეთა რეზერვიდან ამოირიცხა 2 მოსამართლე;
თ) მოსამართლის თანამდებობიდან გათავისუფლების გამო დისციპლინური საქმისწარმოება შეწყდა 5 მოსამართლის მიმართ;
ი) ბრალეულად იქნა ცნობილი, მაგრამ არ დაეკისრა დისციპლინური პასუხისმგებლობა და სახდელი 2 მოსამართლეს;
კ) დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების ვადის გასვლის გამო შეწყდა დისციპლინური საქმის წარმოება 1 მოსამართლის მიმართ.

სადისციპლინო კოლეგიის მიერ განხილული 56 დისციპლინური საქმიდან, საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატაში, გასაჩივრდა მხოლოდ 15 დისციპლინურ საქმეზე მიღებული გადაწყვეტილება:

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატაში სადისციპლინო კოლეგიის გადაწყვეტილება გასაჩივრდა 14 მოსამართლის მიერ, ხოლო 3 შემთხვევაში საჩივრის ავტორი იყო დისციპლინური ბრალდების მხარე - საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატის მიერ 9 მოსამართლის მიმართ ძალაში დარჩა სადისციპლინო კოლეგიის გადაწყვეტილება.

3 მოსამართლის მიმართ გამოტანილი გადაწყვეტილება გაუქმდა და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა სადისციპლინო კოლეგიას.

1 მოსამართლის მიმართ გაუქმდა დაკისრებული დისციპლინური სახდელი - შენიშვნა - და იგი გამართლდა წარდგენილ დისციპლინურ ბრალდებაში.

1 მოსამართლეს დისციპლინური სახდელი - მკაცრი საყვედური - შეეცვალა სახდელით - შენიშვნა, ხოლო 1 მოსამართლეს სახდელი - საყვედური - შეეცვალა და მიემართა კერძო სარეკომენდაციო ბარათით.

2 მოსამართლის მიმართ შეწყდა საქმის წარმოება საჩივარზე უარის თქმის გამო.